

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის ბათუმის (საქართველო) საერთაშორისო აეროპორტში ფრენების უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების და მომხმარებელთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის თაობაზე ოქმის პროექტთან დაკავშირებით

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ“ 2006 წლის 14 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა და თურქეთის რესპუბლიკის შესაბამის სტრუქტურებთან შეჯერებულ იქნა „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის ბათუმის (საქართველო) საერთაშორისო აეროპორტში ფრენების უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების და მომხმარებელთა მოთხოვნილებების უზრუნველყოფის თაობაზე“ ოქმის პროექტი.

წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად ფრენის უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფით დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ინტერესები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო და საბაჟო პროცედურების გამარტივების გზით, ბათუმის (საქართველო) აეროპორტის გამოყენება ხოფის (თურქეთის რესპუბლიკა) ტერმინალიდან/ში მგზავრის, ბარგის, ტვირთის და ფოსტის თურქეთის რესპუბლიკის, საქართველოს ან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე და პირიქით გადაყვანა-გადაზიდვის მიზნით.

პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებთან და დამატებით საბიუჯეტო ხარჯებთან.